საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 483

თბილისი 16 04 2019წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N209 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ გამარჯვებულის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N209 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „ხელოვნება გამყოფი ხაზის გარეშე“ ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის N351 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის 2019 წლის 26 მარტის N1 სხდომის ოქმისა და 2019 წლის 8 აპრილის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის 2019 წლის 10 აპრილის N417007 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განცხადების, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N209 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის

„ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ გამარჯვებული პროექტი - ,,სახელოვნებო სკოლები დევნილთა დასახლებებში“ - ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი ხელოვანები თანადგომისთვის“.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 25 აპრილი.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 16 აპრილისა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ გიორგაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი